

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის რეგლამენტი, წესები და მოწყობის პირობები

წინამდებარე რეგლამენტი და გათამაშების მოწყობის პირობები (შემდგომში „წესები“) განსაზღვრავს გათამაშებაში მონაწილეობის, საპრიზო ფონდის გათამაშების და გამარჯვებულთა გამოვლენის ზოგად წესებებსა და კრიტერიუმებს.

1. ტერმინთა განმარტებები:

- 1.1. **ბანკი** - სს „საქართველოს ბანკი“ ს/ნ 204378869.
- 1.2. **მონაწილე** - საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომელიც ბანკში რეგისტრირებულია როგორც კლიენტი (რომელიც იდენტიფიცირებულ-ვერიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით) (გარდა წინამდებარე წესებითა და პირობებით დადგენილი გამონაკლისებისა) სარგებლობს **ბანკის** დისტანციური საბანკო მომსახურებით-**მობილ ბანკით** და გათამაშების პერიოდში ისარგებლებს ბანკის მიერ გამოშვებული Mastercard საგადახდო სქემის **ბარათით** (გარდა school card ბარათისა).
- 1.3. **მობილ ბანკი** - ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურება - მობილ ბანკი.
- 1.4. **გათამაშება** - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესებითა და პირობებით გათვალისწინებული წამახალისებელი გათამაშება.
- 1.5. **შუალედური გათამაშება** - პროცესი, რომელიც იწყება 1 კალენდარული კვირის განმავლობაში ბილეთების დაგროვებიდან და მთავრდება ამ შუალედური გათამაშებისათვის განსაზღვრული პრიზების გათამაშებით.
- 1.6. **ბარათი**: ბანკის მიერ გამოშვებული როგორც ციფრული, ასევე პლასტიკური Mastercard საგადახდო სქემის ბარათი.
- 1.7. **UEFA** - The Union of European Football Associations
- 1.8. **ელექტრონული კომერცია** - ელექტრონულად/ონლაინ/ინტერნეტის გამოყენებით გადახდის ოპერაციის/ტრანზაქციის შესრულების საშუალება.

2. გათამაშების ორგანიზატორი:

- 2.1. სს „საქართველოს ბანკი“ ს/ნ 204378869.

3. გათამაშების მიზეზი

- 3.1. **გათამაშების** მოწყობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არსებული და პოტენციური მომხმარებლის წახალისება, რათა ისარგებლონ და განახორციელონ გადახდის ოპერაციები **ბანკის** მიერ გამოშვებული Mastercard საგადახდო სქემის **ბარათით**.

4. გათამაშების მიზანი

- 4.1. გათამაშების მიზანს წარმოადგენს **ბანკის** მიერ გამოშვებული Mastercard საგადახდო სქემის **ბარათის** რეალიზაციის გაზრდა და ამ ბარათის გამოყენებით გადახდის ოპერაციების განხორციელების წახალისება/გაზრდა, რითიც ხელი შეეწყობა Mastercard-ის ცნობადობისა და გამოყენებადობის ამაღლებას, ასევე პოს-ტერმინალებზე და ონლაინ გადახდებით გადახდის ოპერაციების გაზრდას, რის საფუძველზეც **მონაწილეებს** აქვთ შანსი მოიგონ ღირებული პრიზები.

5. **გათამაშებაში მონაწილეობის აუცილებელი პირობები:**

- 5.1. **გათამაშებაში** მონაწილეობას შეძლებენ საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი ფიზიკური პირები, რომელიც ბანკში რეგისტრირებული არიან როგორც კლიენტი და სარგებლობენ **ბანკის** დისტანციური მომსახურებით - **მობილ ბანკით**;
- 5.2. გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ და გამარჯვებულად ვერ გამოვლინდებიან:
- 5.2.1. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები;
- 5.2.2. არასრულწლოვანი/18 წელს მიუღწეველი პირები;
- 5.2.3. პირები, რომლებსაც გათამაშების დაწყებამდე ან/და მისი მიმდინარეობის პერიოდში შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ დაუდგინდათ შეზღუდვა (სანქცია) საბანკო მომსახურების მიღებასთან ან/და საბანკო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებით;
- 5.2.4. **ბანკში** დასაქმებული (მათ შორის შრომითი ან მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის ხელშეკრულებით) ფიზიკური პირები.
- 5.2.5. იურიდიული პირ(ებ)ი, ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს.
- 5.2.6. გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს/ გამარჯვებულად არ გამოვლინდება ბანკში ინდ. მეწარმედ რეგისტრირებული პირების მიერ შესრულებული გადახდის ოპერაციები, რომლებიც გადახდის ოპერაციას შეასრულებენ ინდივიდუალური მეწარმეებისათვის განკუთვნილი ბარათის გამოყენებით.

6. **პროდუქციის/მომსახურების აღწერა**

- 6.1. **ბანკი** მომხმარებლებს სთავაზობს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით საბანკო საქმიანობის ფარგლებში დადგენილ შემდეგ მომსახურებებს:

- ა) პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;
- ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;
- გ) დერივატივის დადება, საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;
- დ) ნაღდი და უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინვასაციო მომსახურების განხორციელება;
- ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);
- ე1) უპროცენტო საბანკო მომსახურება;
- ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- ზ) კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;

თ) ფასეულობათა (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) შენახვა და აღრიცხვა, მათ შორის, ანგარიშის მწარმოებლის ფუნქციის შესრულება;

ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;

ი1) სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი2) ქონების იჯარით გაცემა;

ი3) საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;

ი4) ქონების ლიზინგით გაცემა;

კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;

ლ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალურ აქტივზე კონტროლის საშუალებას იძლევა და ამ მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობა.

ბანკი დ) ე) და კ) ქვეპუნქტებში აღწერილი მომსახურების ფარგლებში, ახორციელებს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ტიპის ბარათის (მათ შორის საკრედიტო ბარათის, სადებეტო ბარათის, წინასწარი გადახდის ბარათის) ემისიას, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს შემდეგ საბარათე სქემაში: Visa, Mastercard, American Express, Georgian Card.

გათამაშება უკავშირდება საბარათე სქემებიდან ერთ-ერთი, კერძოდ - Mastercard (**ბანკის** მიერ გამოშვებული ნებისმიერი Mastercard ბარათი) ბარათის გამოყენებით გადახდის ოპერაციების მომსახურებას, მისი საშუალებით უნაღდო ანგარიშსწორების მომსახურების განხორციელებასა და მიმოქცევის ორგანიზებას, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში.

7. გათამაშებაში ჩართვის წესი

7.1.1. გათამაშებაში ჩართვა არ ხდება ავტომატური გზით.

7.1.2. ფიზიკურმა პირმა, რომელსაც სურს გათამაშებაში მონაწილეობის მიღება, **ბანკის** არხებში უნდა დააფიქსიროს გათამაშებაში მონაწილეობაზე თანხმობა.

7.2. გათამაშებაში მონაწილეობას იღებს ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს **წესებით** დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს და რომელიც დაეთანხმება **გათამაშებაში** მონაწილეობას.

7.3. გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია როგორც **გათამაშების** (მათ შორის შუალედური გათამაშების) დაწყებისთანავე, ასევე **გათამაშების** მიმდინარეობისას მის დასრულებამდე.

7.4. იმ შემთხვევაში თუ მონაწილე **გათამაშებაში** (მათ შორის შუალედურ გათამაშებაში) ჩაერთვება **გათამაშების** დაწყების შემდგომ მის დასრულებამდე პერიოდში, მის სახელზე ბილეთების რაოდენობის გენერირება დაიწყება დროის იმ მომენტიდან, როდესაც ის ჩართო **გათამაშებაში** წინამდებარე წესების დაცვით.

8. გათამაშების ბილეთების დაგროვების წესი

- 8.1. **გათამაშებაში** მონაწილეობას იღებს ბანკის მიერ გამოშვებული ნებისმიერი, როგორც ციფრული, ასევე პლასტიკური Mastercard (მათ შორის Mastercard საგულშემატკივრო, Mastercard Classic, Mastercard Gold, Mastercard Platinum, Mastercard Standard, Mastercard World Elite, Mastercard World, Mastercard Offset, Mastercard Solo Gold Card, Mastercard WM World Elite, Mastercard Debit) საგადახდო სქემის **ბარათის** (გარდა school card) საშუალებით საქონლის/მომსახურების შესაძენად, პოს-ტერმინალზე ან **ელექტრონულ კომერციაში/ონლაინ** განხორციელებული წარმატებული გადახდის ოპერაცია, გარდა წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული გამონაკლისებისა (შემდგომში - **ტრანზაქცია** ან **გადახდის ოპერაცია**).
- 8.2. წინამდებარე **წესების** შესაბამისად განხორციელებულ ყოველ **ტრანზაქციას** ბანკი ანიჭებს უნიკალურ კოდს, რის საფუძველზეც ხდება ბილეთების დაგროვება უნიკალური კოდის სახით.
- 8.3. **მონაწილე** ბილეთებს დააგროვებს **ტრანზაქციის** შესრულების შემთხვევაში, შემდეგი პრინციპით:
- 8.3.1. **ბანკის** მიერ გამოშვებული საბარათე სქემის Mastercard-ის **ბარათით** სახელწოდებით „საგულშემატკივრო“ შესრულებულ **ტრანზაქციის** ყოველი 5 ლარზე გენერირდება/გაიცემა **გათამაშების 2** (ორი) ბილეთი;
- 8.3.2. **ბანკის** მიერ გამოშვებული, **ბანკის** SOLO ან/და WM-ის სტატუსის მქონდე კლიენტების კუთვნილი Mastercard-ის **ბარათით**, სახელწოდებით „Mastercard World“ „World Elite“ შესრულებულ **ტრანზაქციის** ყოველი 5 ლარზე გენერირდება/გაიცემა **გათამაშების 2** (ორი) ბილეთი;
- 8.3.3. **ბანკის** მიერ გამოშვებული ნებისმიერი სხვა Mastercard-ის **ბარათით**, გარდა წინამდებარე დოკუმენტის 8.3.1. და 8.3.2. პუნქტით გათვალისწინებული **ბარათებისა** (8.1 პუნქტით გათვალისწინებული ბარათებით), შესრულებულ **ტრანზაქციის** ყოველი 5 ლარზე 1 ბილეთი;
- 8.4. ბილეთების დაგროვების მიზნებისთვის, **მონაწილე** არ არის შეზღუდული **ტრანზაქციის** რაოდენობასა ან/და ოდენობაში.
- 8.5. ბილეთების დაგროვების მიზნებისთვის, **ბარათის** საშუალებით განხორციელებული **ტრანზაქციაზე** ბილეთების დაგროვება მოხდება გადახდის ოპერაციის შესრულების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით დაანგარიშების საფუძველზე.
- 8.6. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება **ბარათის** საშუალებით **გადახდის ოპერაციის** თანხის უკან დაბრუნება, **გადახდის ოპერაციის** გაუქმება, ან რაიმე სხვა გზით გადახდის ოპერაციის შეუსრულებლობა, სისტემის მიერ ავტომატურად მოხდება ამ გადახდის ოპერაციის ფარგლებში **მონაწილეზე** დაგროვებული ბილეთ(ებ)ის გაუქმება.
- 8.7. იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება **ბარათის** საშუალებით გადახდის ოპერაციის თანხის ცვლილება/ნაწილობრივ შესრულება, **მონაწილეს** დარიცხული ბილეთ(ებ)ის შესაბამისი რაოდენობა დაუკორექტირდება, იმ თანხის ოდენობის საფუძველზე, რა ნაწილშიც შესრულდა/წარმატებით განხორციელდა **გადახდის ოპერაცია**.
- 8.8. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე დოკუმენტის 5.1. პუნქტით, გათამაშებაში მონაწილეობისათვის გათვალისწინებული აუცილებელი პირობებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს **მოხილ ბანკით** სარგებლობას, ამასთან, **მონაწილე გათამაშებაში** ჩართვას შეძლებს მხოლოდ **მოხილ ბანკში** გამოხატული თანხმობით, **გათამაშების მონაწილისათვის**

ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია მის მიერ დაგროვებული ბილეთების რაოდენობის შესახებ **ბანკის** მობილ ბანკის სივრცეში.

- 8.9. **გათამაშების** ბილეთების დაგროვება მოხდება ყოველკვირეული დათვლის პრინციპით, 1 (ერთი) კვირის ჭრილში, ორშაბათს 00:00:01 საათიდან კვირას 23:59:59 საათის ჩათვლით შესრულებული **გათამაშებაში** მონაწილე **ბარათის** საშუალებით განხორციელებული გადახდის ოპერაციის საფუძველზე.
 - 8.10. ყოველი **შუალედური გათამაშების** დასრულების შემდგომ, მოხდება არსებული ბილეთების განულება.
 - 8.11. ყოველი **შუალედური გათამაშების** მიმდინარეობისას, მოხდება ბილეთების ხელახალი დაგროვება, მიმდინარე კვირის (შუალედური გათამაშების პერიოდის) განმავლობაში შესრულებული **ტრანზაქციების** საფუძველზე, რომელიც აითვლება 0 (ნული)-დან.
9. **ბილეთების დაგროვების შეზღუდვა (გამონაკლისები)/ გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს (ბილეთები არ დაგროვდება) შემდეგი გადახდის ოპერაციები:**
- 9.1. აზარტული თამაშების მიმწოდებლის სასარგებლოდ განხორციელებული ტრანზაქციები.
 - 9.2. ბანკის ლოიალურობის პროგრამებით გათვალისწინებული ლოიალურობის ქულებით შესრულებული ტრანზაქციები.
 - 9.3. ელექტრონული საფუძვლებში დამატებული ბარათით შესრულებული ტრანზაქციები (არ იგულისხმება Apple Pay/Google Pay-ის აპლიკაციაში დამატებული ბარათით განხორციელებული ტრანზაქციები)
 - 9.4. ფიზიკურ/იურიდიულ პირთან ბარათით თანხის გადარიცხვები.
 - 9.5. ტრანზაქციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საქონლის/მომსახურების შეძენასთან, არ გამოყენებულა პოს-ტერმინალი ან/და ელექტრონული კომერცია.
 - 9.6. თანხის განაღდება;
 - 9.7. საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბანკის პოლიტიკით/პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი უკანონო გადახდის ოპერაციები.
 - 9.8. ანგარიშის შევსების ტრანზაქციები.
 - 9.9. საფინანსო დაწესებულების (ფინანსური ინსტიტუტის/ორგანიზაციის) სასარგებლოდ განხორციელებული ტრანზაქციები.
 - 9.10. კრიპტო და/ან მსგავსი ტიპის აქტივის შესაძენად/დასაკონვერტირებლად განხორციელებული ტრანზაქციები.
10. **გათამაშების ჩატარების პერიოდი**
- 10.1. **გათამაშების** შედგება 4 (ოთხი) **შუალედური გათამაშებისგან:**
 - 10.1.1. **გათამაშების** სრული პერიოდი იწყება 2024 წლის 01 აპრილს 00:00:01 საათიდან და გრძელდება 2024 წლის 29 აპრილის 16:00 საათის ჩათვლით.
 - 10.1.2. პირველი **შუალედური გათამაშებისათვის** ბილეთების დაგროვების პერიოდია 2024 წლის 01 აპრილის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 07 აპრილის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო პირველი **შუალედური გათამაშების** გამარჯვებულებისათვის განკუთვნილი პრიზები გათამაშდება 2024 წლის 08 აპრილს 16:00 საათზე.
 - 10.1.3. მეორე **შუალედური გათამაშება გათამაშებისათვის** ბილეთების დაგროვების პერიოდია 2024 წლის 08 აპრილის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 14 აპრილის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო მეორე **შუალედური გათამაშების** გამარჯვებულებისათვის განკუთვნილი პრიზები გათამაშდება 2024 წლის 15 აპრილს 16:00 საათზე.

- 10.1.4. მესამე შუალედური გათამაშება გათამაშებისათვის ბილეთების დაგროვების პერიოდია 2024 წლის 15 აპრილის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 21 აპრილის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო მესამე შუალედური გათამაშების გამარჯვებულებისათვის განკუთვნილი პრიზები გათამაშდება 2024 წლის 22 აპრილს 16:00 საათზე.
- 10.1.5. მეოთხე შუალედური გათამაშება გათამაშებისათვის ბილეთების დაგროვების პერიოდია 2024 წლის 22 აპრილის 00:00:01 საათიდან 2024 წლის 28 აპრილის 23:59:59 ჩათვლით, ხოლო მეოთხე შუალედური გათამაშების გამარჯვებულებისათვის განკუთვნილი პრიზები გათამაშდება 2024 წლის 29 აპრილს 16:00 საათზე.

11. გათამაშების საპრიზო ფონდი:

11.1. გათამაშების/შუალედური გათამაშების პრიზები და მათი ღირებულებები:

*ცხრილში მითითებული ფასები მოიცავს საშემოსავლო გადასახადს.

| პრიზი | პრიზი |
|--|--|
| <p>UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის ფინალის 1 (ერთი ერთეული) საგზურის პაკეტი ორ პერსონაზე</p> <p>(საგზურის პაკეტი მოიცავს: სასტუმროში განთავსებას სამი ღამით, ავიაბილეთებს (ორივე მიმართულებით) და ტრანსფერს UEFA-ს 2023/2024 წლის სეზონის ჩემპიონთა ლიგის ფინალის მატჩზე დასასწრებ ბილეთებს, საქართველოში მდებარე შესაბამისი ქვეყნის საელჩოში/საკონსულოში სავიზო მოსაკრებელს)</p> | <p>UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის 1 (ერთი ერთეული) საგზურის პაკეტი ორ პერსონაზე</p> <p>(საგზურის პაკეტი მოიცავს: სასტუმროში განთავსებას სამი ღამით, ავიაბილეთებს (ორივე მიმართულებით) და ტრანსფერს, UEFA-ს 2023/2024 წლის სეზონის ჩემპიონთა ლიგის ფინალის მატჩზე დასასწრებ ბილეთებს, საქართველოში მდებარე შესაბამისი ქვეყნის საელჩოში/საკონსულოში სავიზო მოსაკრებელს)</p> |
| პრიზების ჯამური ღირებულება (8 ერთეული) | 202 883.72 ლარი |

- 11.2. თითოეული შუალედური გათამაშების ჭრილში გამოვლინდება 2 (ორი) გამარჯვებული.
- 11.3. თითოეულ გამარჯვებულზე განისაზღვრება პრიზი - UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის საგზურის პაკეტი ორ პერსონაზე, რომელიც დგინდება შემდეგი პრინციპით:
 - 11.3.1. პირველი შუალედური გათამაშების თითოეული გამარჯვებულისთვის განსაზღვრული პრიზი: 2023/2024 წლის სეზონის UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საგზურის პაკეტი ორ პერსონაზე.
 - 11.3.2. მეორე შუალედური გათამაშების თითოეული გამარჯვებულისთვის განსაზღვრული პრიზი: 2023/2024 წლის სეზონის UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საგზურის პაკეტი ორ პერსონაზე.
 - 11.3.3. მესამე შუალედური გათამაშების თითოეული გამარჯვებულისთვის განსაზღვრული პრიზი: 2023/2024 წლის სეზონის UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის ფინალის საგზურის პაკეტი ორ პერსონაზე.
 - 11.3.4. მეოთხე შუალედური გათამაშების თითოეული გამარჯვებულისთვის განსაზღვრული პრიზი: 2023/2024 წლის სეზონის UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის ფინალის საგზურის პაკეტი ორ პერსონაზე.

12. გათამაშების ჩატარების ფორმა და წესი

- 12.1. **გათამაშების** მიმდინარეობისას, **ბანკის** მასშტაბით შეიქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს გათამაშების ჩატარებას/საპრობო ფონდის გათამაშებას, წამახალისებელი გათამაშების მოწყობას წინამდებარე წესებისა და პირობების (რეგლამენტის) დაცვით და მათ შესაბამისად.
- 12.2. **გათამაშება** ჩატარდება სისტემურ-ელექტრონული ფორმით.
- 12.3. **მონაწილის** მიერ განხორციელებულ თითოეულ გადახდის ოპერაციას მიენიჭება უნიკალური კოდი, რომელიც გენერირდება ინდივიდუალურად და დაიდენტიფიცირდება გამარჯვებულის გამოვლენის მიზნებისთვის.
- 12.4. **გათამაშების** გამარჯვებულები გამოვლინდებიან **ბანკის** პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, რომელიც იყენებს Oracle -ის შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებულ ფუნქციას: dbms_random.value.
- 12.5. **ბანკის** პროგრამული უზრუნველყოფა ახდენს დაგენერირებული უნიკალური კოდების თავმოყრას და შემთხვევითობის პრინციპით გამოავლენს მათგან რამდენიმეს, (ყოველი შუალედური გათამაშებისათვის ორ **ტრანზაქციას**) რაც განაპირობებს გამარჯვებული **მონაწილეების** გამოვლენას.
- 12.6. გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება ყოველკვირეულად, **შუალედური გათამაშების** /1 (ერთი) კალენდარული კვირის ჭრილში დაგროვებული ბილეთების საფუძველზე.
- 12.7. გამარჯვებული მონაწილე შესაძლებელია იყოს მხოლოდ იმ სს საქართველოს **ბანკის** მიერ გამოშვებული Mastercard ბარათის მფლობელი, (რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესებსა და პირობებს) რომელი ბარათის გამოყენებით შესრულებული **ტრანზაქციის** შესაბამისი ბილეთიც გამოვლინდა გამარჯვებულად.

13. გათამაშების ჩატარების ადგილი

- 13.1. გათამაშების ჩატარების ადგილია სს საქართველოს ბანკის სათავო ოფისი, სადაც განთავსებულია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულებს: მისამართი: საქართველო, თბილისი, ი. გაგარინის 1. N 29ა

14. გამარჯვებულის გამოვლენა

- 14.1. ყოველი **შუალედური გათამაშებისათვის** გამოვლინდება 2 (ორი) გამარჯვებული, ხოლო **გათამაშების** სრული პერიოდის ფარგლებში, ჯამურად გამოვლინდება 8 გამარჯვებული.
- 14.2. 1 (ერთი) მონაწილე შესაძლებელია გამოვლინდეს გამარჯვებულად არაუმეტეს ერთხელ.
- 14.3. ყოველი **შუალედური გათამაშების** მიმდინარეობისას, რომელიმე 1 (ერთი) კალენდარული კვირის ფარგლებში გამოვლენილი გამარჯვებულის მიერ ბარათის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციები აღარ მიიღებს მონაწილეობას **გათამაშებაში**.
- 14.4. გათამაშების მიზნებისთვის, **ბანკს** უფლება აქვს შეამოწმოს **მონაწილის** მხრიდან თაღლითობის/ინტერესთა კონფლიქტის/მართლსაწინააღმდეგო/წესების დარღვევის ქმედებები და მათი შესაბამისობა წესებთან/კანონმდებლობასთან/ბანკის პოლიტიკასთან, როგორც გადახდის ოპერაციის განხორციელებისას, ასევე მის შემდეგ გათამაშების ეტაპის დასრულებამდე.
- 14.5. ამ წესებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვება უქმდება.

15. **გამარჯვებულისათვის პრიზების გადაცემა და პრიზის გადაცემის პირობები**
- 15.1. წინამდებარე რეგლამენტის 10.1.2, 10.1.3, 10.1.4. და 10.1.5. პუნქტებით განსაზღვრულ დროს, გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, **გათამაშების წესებით** განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკის** წარმომადგენელი გამარჯვებული პირის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის უნიკალური ნომრის დაიდენტიფიცირების საფუძველზე, დაუკავშირდება გამარჯვებულს, გამარჯვებული **მონაწილის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე არაუგვიანეს თითოეული შუალედური გათამაშების გამარჯვებულების გამოვლენიდან მეორე დღისა, და მიაწოდებს ინფორმაციას პრიზის გადაცემის დეტალებთან დაკავშირებით.
- 15.2. პრიზის მიმღებს არ აქვს უფლება პრიზი გადასცეს/გაასხვის ნებისმიერ სხვა/მესამე პირს.
- 15.3. პრიზის გაცემის ადგილია: ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის 1. N7
პრიზის გაცემის თარიღი: გამარჯვებულისთვის პრიზის გადაცემა მოხდება მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, (რომლითაც ბანკი დააიდენტიფიცირებს, რომ მომგებიანი ბილეთი ეკუთვნის გამარჯვებულს), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) დღის ვადაში.
პრიზის გაცემის ვადაა, გათამაშებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
- 15.4. ვინაიდან პრიზი შედგება 2 პერსონისათვის გათვლილი პაკეტისგან, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია, კანონმდებლობის დაცვით, მისი უფლებამოსილების ფარგლებში მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია იმ პირის თაობაზე, ვისთან ერთადაც სურს პაკეტის გაზიარება, არაუგვიანეს პრიზის გამარჯვებულისათვის გადაცემის მომენტისა.
- 15.5. პრიზით სარგებლობა შეეძლება მხოლოდ გამარჯვებულ ფიზიკურ პირს მიერ და მის მიერ განსაზღვრულ ერთი ფიზიკურ პირს. დაუშვებელია გამარჯვებული ფიზიკური პირის მაგივრად საგზურის პაკეტით ისარგებლოს სხვა ფიზიკურმა პირმა.
- 15.6. დაუშვებელია პრიზის მაგივრად პრიზის ღირებულების ექვივალენტი თანხის გადაცემა.
- 15.7. **ბანკი** არ ანაზღაურებს პრიზის მიღება/გამოყენების რაიმე სხვა დამატებით ხარჯებს.
16. **ზოგადი პირობები**
- 16.1. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი გამარჯვებულისათვის გადაცემული პრიზის ნებისმიერი მიზეზით გამოუყენებლობაზე.
- 16.2. **გათამაშების** მოწყობის **წესები** და პირობები არის საჯაროდ გამოქვეყნებული და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე - www.bankofgeorgia.ge
17. **პრეტენზიების მიღებისა და განხილვის წესი**
- 17.1. **გათამაშების** ფარგლებში პრეტენზიები მიიღება არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში თითოეული **შუალედური გათამაშების** დასრულებიდან, რომელთან დაკავშირებითაც მონაწილე გამოთქვამს პრეტენზიას
- 17.2. პრეტენზია მიიღება წერილობითი ფორმით სს „საქართველოს ბანკის“ ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი მუხრან მაჭავარიანის ქ. N 7. ყოველი სამუშაო დღის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
- 17.3. მიღებულ პრეტენზიას განიხილავს ბანკის მასშტაბით გათამაშების მიზნებისთვის შექმნილი სპეციალური კომისია, ხოლო მიღებულ პრეტენზიაზე კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას და იმავე ფორმით აცნობებს პრეტენზიის წარმდგენს არაუგვიანეს პრეტენზიის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- 17.4. გათამაშებაში მონაწილე პირსა და **ბანკს** შორის გათამაშებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუთანხმებლობა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- 17.5. **გათამაშების** მოგებათა ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება არა უგვიანეს როგორც თითოეული შუალედური გათამაშების დასრულებიდან, ასევე გათამაშების სრული პერიოდის დასრულებიდან 3 კალენდარული დღისა, ბანკის ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.